1990 წლის 30 მარტს აღიმართება ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ალაჰი!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 მარტი, სუთშაბათი, 1990 წ.
№ 50 (10 219) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფეხბურთელი ყოფილიყოს...

წლეულს ჩვენს რესპუბლიკაში დამოუკიდებელი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი ტარდება. საქართველოს ყველა მოწინავე გუნდი გაითამაშებს რესპუბლიკის თასსაც. ქართველი ფეხბურთის მოყვარულნი ყოველ ხუთნს ახალი იმედებით და ხურვილებით ხვდებიან, წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატი კი ორმაგად საინტერესო და პასუხსაგებია. ამ გათამაშებამ ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი, პირველ რიგში კი იმას, თუ როგორ არიან მომზადებული ჩვენი მოწინავე გუნდები, როგორია მათი ფიზიკური მომზადება, ფსიქოლოგიური განწყობა და რას უნდა მოველოდეთ მათგან უახლოეს პერიოდში.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეროვნული ჩემპიონატი ხარვეზების გარეშე ჩატარდება. საქართველო ხომ პირველი რესპუბლიკაა კავშირში, რომელმაც დამოუკიდებლად უნდა მართოს თავისი საფეხბურთო ცხოვრების ურთულესი მექანიზმი. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მსგავსი პირველობების არსებობა ათეულობით წელს ითვლის, ხშირია ათასგვარი დარღვევა, ამიტომაც, თუ ისე არ წარიმართა ყველაფერი, როგორც ჩვენ გვსურს და როგორც გვაქვს წარმოდგენილი, ეს ერთმანეთს არ უნდა გადავაბრალოთ, პირიქით, შეძლებისდაგვარად ყველა მხარეში უნდა დავუდგეთ ამ დროულ და საჭირო გადაწყვეტილებას, რადგანაც ჩვენს ფეხბურთს უკანდასახევი გზა ნამდვილად აღარ აქვს. მთავარია თავი არ იჩინოს ხელოვნურმა ნეგატიურმა მოვლენებმა. თუ რა თანადგომა შეუძლიათ ჩვენს გულშემატკივრებს, ამაზე წერა ზედმეტადაც მიგვაჩნია, რადგან უკვე რამდენიმე წელია ჩვენი მოწინავე გუნდის უხეირო გამოსვლების დროსაც კი ხელი არავის ჩაუქნევია. თანა-

იხ. მე.3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის მოყვარულთა მრავალრიცხოვანი არმია, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენელთა გაერთიანებასთან დაკავშირებულ პროცესებს.

და აი, ყველაფერი დასრულდა. გადაიდგა გოლო და მთავარი ნაბიჯი — ჩვენი ფედერაცია ამჟერიდან ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ფედერაციის ასოციირებული წევრია. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ამ დღეებში პერუს დედაქალაქ ლიმაში გამართულმა კონგრესმა. როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, იქვე გაიმართა მსოფლიოს V ჩემპიონატი ტრადიციულ კარატეში, რომელშიც პირველად მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებელი ფედერაციის გუნდი.

გილოცავთ: საქართველო საერთაშორისო ფედერაციის წევრია!

ბოლოდ ქულა აშორებს გამარჯვებულს დამარცხებულისგან ტრადიციულ კარატეში. ელვისებური, ნაცადი ილეთი ფასდება უმაღლესი ბალით — იპონით, მაგრამ როგორღა, რომელი სკალის მიხედვით უნდა შეფასდეს საქართველოს ნაკრები გუნდის გამოსვლა პერუში გამართულ V მსოფლიო ჩემპიონატზე?

ლიმაში რომ მიემგზავრებოდა, ჩვენი დელეგაცია ორ ამოცანას ისახავდა (ორივეს — მაქსიმუმს): იტკფ-ის — ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ფედერაციის წევრად გახდომას და ჩემპიონატში ცალკე გუნდით გამოსვლას. კონგრესზე, რომელიც წინ უძღოდა ჩემპიონატს, რამდენიმე საკითხი განიხილებოდა. რიგით მეათე ნომრად გადიოდა იტკფ-ში ახალი წევრების მიღების საკითხი. უნდა ითქვას, რომ ეს ორგანიზაცია 50-ზე მეტ წევრს აერთიანებს და, შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ რაოდენობა აქ მაინც-დამაინც აღარ აინტერესებთ, ახალ წევრებს არცთუ დიდი ხალისით იღებდნენ. მაგალითად, სხვადასხვა მიზეზით უარი უთხრეს პარაგვაის, -კოსტა-რიკის, საბერძნეთის კარატეს სკოლების წარმომადგენლებს. ადვილი წარმოსადგენია, როგორ ღელავდნენ ჩვენი დელეგატები. მაგრამ იტკფ-ის თავმჯდომარემ ხიდეტაკა ნიშიამამ, როცა საქართველოს დელეგაციას წარადგენდა, ძალზე დარწმუნებით განაცხადა, რომ საქართველოს ფედერაციას სრული უფლება აქვს გახდეს იტკფ-ის წევრი. „ამ ფედერაციას ცნობენ ოფიციალური მთავრობა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი“ — ხაზი გაუსვა ევროპის ფედერაციის პრეზიდენტმა, იუგოსლავიელმა პროფესორმა ვლადიმერ იორგამ. არ შეიძლება არ აღინიშნოს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ დელეგაციას ხელმძღვანელობდა სპორტსაბჭომის თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე. ადგილობრივი გაზეთები ფართო რეკლამას უწევდნენ იმ ფაქტს, რომ „ჩემპიონატზე ჩამოსული იყო საქართველოს სპორტის მინისტრი“, ცხადია, არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმანაც, რომ კონგრესის მონაწილეებისთვის კარგად არის ცნობილი საქართველოს კარატეს ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის, „შავი ქამრის“ მეორე დანის მფლობელის ზურაბ მერაბიშვილის სახელი. სხვათა შორის, პერუში ზურაბს მიენიჭა საერთაშორისო მსაჯის კატეგორია. საერთაშორისო ფედერაციის დირექტორატის წევრებმა მოინდომეს გასცნობოდნენ საქართველოს კონსტიტუციას, დაინტერესდნენ ჩვენში სუვერენული ორგანიზაციების შექმნის უფლებამოსილების საკითხებით. იტკფ-ის წესდების თანახმად, მისი წევრი ვერ გახდება იმ ქვეყნის ფედერაცია, რომლის ოლიმპიური კომიტეტი არ არის აღიარებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. და მაინც, როცა კონგრესის მონაწილენი კენჭისყრაზე გადავიდნენ, საქართველოს საკითხი ერთხმად გადაწყდა დადებითად! ამრიგად, ავტომატურად გადაწყდა მეორე — საქართველოს გუნდის ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხიც. შეჯიბრების მონაწილეთა პერუდან დაბრუნების შემდეგ ჩვენ უფრო დაწვრილებით გიამბობთ ჩემპიონატის შესახებ.

პეპი ბოპორიშვილი.

მოკრივეთა ყველა სინჯის მედლები

კვლავ გვანებივრებენ საქართველოს ახალგაზრდა მოკრივეები საკავშირო სარბიელზე მოპოვებული წარმატებებით. „ლელოს“ წინა ნომერში ვიტყობინებოდით, რომ ირკუტსკში გამართულ იუნიორთა საკავშირო პირველობაზე „მართვესა“ და „შევარდენის“ სპორტული და ოლიმპიური რეზერვის სკოლების შვიდმა აღსაზრდელმა გზა გაიკაფა ფინალისაკენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ისინი ციმბირის ამ ქალაქიდან ოქროს ან ვერცხლის მედლით დაბრუნდებოდნენ, რაც დიდი წარმატებაა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ქართველმა მოკრივეებმა მედლების ანგარიში მანამდე გახსნეს, როცა ქუთაისის „მართვეს“ წარმომადგენელმა გია გოლეთიანმა (71 კგ) და ფოთის „შევარდენის“ აღსაზრდელმა ზურაბ სარსანიამ (91 კგ) ბრინჯაოს მედლებით დაამთავრეს ასპარეზობა.

— რა თქმა უნდა, — გვითხრა ირკუტსკიდან დაბრუნებულმა ზ. სარსანიას მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ზაურ ანთიამ, ზურაბს უფრო მაღალი სინჯის მედლის მოპოვება შეეძლო, მაგრამ მასპინძლები ძალზე გულცივად მოეკიდნენ ასპარეზობას, მის მონაწილეებს სათანადო პირობები ვერ შეუქმნეს, საკვებიც უხარისხო იყო, იწამლებოდნენ კიდეც მოკრივეები, რასაც ვერც სარსანია გადაურჩა და ნახევარფინალის მესამე რაუნდში, სრულიად დასუსტებული, მოვხსენი შეჯიბრებიდან. რაც შეეხება მის მეგობარს, შარშანდელი ასპარეზობის გამარჯვებულ კობა გოგოლაძეს (48 კგ), ივი რსფსრ-ის წარმომადგენელ ს. კოშელევთან აშკარა უპირატესობით გამარჯვებით ჩაება შეჯიბრებაში, მაგრამ ხელი დაიშავა და ტრავმირებული დამარცხდა მეორე ბრძოლაში.

იმ შვიდ ფინალისტს შორის კი თავი ისახელეს მესტიელმა რამაზ ფალიანმა (48 კგ, „შევარდენი“, მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. ჯაფარიძე), მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა კახა ბარავიმ (54 კგ, „მართვე“, მწვრთნელი სპორტის ოსტატი ი. შეპეტკოვი), ფოთელმა პაატა გვასალიამ (57 კგ, „შევარდენი“, მწვრთნელი სპორტის ოსტატი ს. კულუა), ქუთაისელმა მათე კოღუაშვილმა (67 კგ, „მართვე“, მწვრთნელი ვ. ბურჯანაძე), მისმა თბილისელმა თანაკლუბელმა აკაკი კაკაურიძემ (71 კგ, მწვრთნელები სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. კვეჭაძე, ა. ცქიფურიშვილი), რომლებმაც ჩემპიონობა მოიპოვეს.

დანარჩენმა ჩვენმა ფინალისტებმა, თბილისელებმა თამაზ წკრიალაშვილმა (51 კგ, „მართვე“) და მისმა თანაკლუბელმა ილია ფაროიანმა (60 კგ) გადამწყვეტი ბრძოლები შესაბამისად დათმეს მ. ანანიევთან (რსფსრ, „შრომითი რეზერვები“) და მის თანაგუნდელ ვ. შოხინთან და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ასპარეზობის გამარჯვებულები და პრიზიორები ჩარიცხული არიან საკავშირო ნაკრების რიგებში, რომელთაც ამ ზაფხულსა და შემოდგომაზე მეტად საპასუხისმგებლო ასპარეზობები ელით ჯერ ჩეხოსლოვაკიის ქალაქ უსტინალაბისა, ხოლო შემდეგ ლიმას რინგებზე, სადაც უნდა ჩატარდეს ევროპისა და მსოფლიო პირველობები მათ თანატოლთა შორის.

ალექსანდრე მეტრეველი ისევ პორტზეა

ნიუ-კანანი (კონეტიკუტის შტატი, აშშ). აქ დამთავრებულ ვეტერან ჩოგბურთელთა დიდ საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა ალექსანდრე მეტრეველმა მეორე ადგილი დაიკავა. ფინალში მას აჯობა წარსულში ცნობილმა ამერიკელმა ჩოგნის ოსტატმა, უიმბლდონის ჩემპიონმა სტენ სმიტმა — 6:1, 7:6.

შერეულ წყვილთა თანრიგში ავსტრალიელმა კენ როზუოლმა და ინგლისელმა ვირჯინია უეიდმა დაამარცხეს ოუენ დავიდსონისა და ივონ გულაგონგის (ორივე — ავსტრალია) დუეტი — 6:4, 1:6, 6:3.

თოთხმეტი პრიზიორი

ლენინგრადში დამთავრდა ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ 1974-1975 წლებში დაბადებული მოჭიდაველები. სულ ასპარეზობაში გამოდიოდა 26 გუნდი, მათ შორის საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებიც. გუნდური ადგილები განაწილდა ასე: 1. საქართველო — 48 ქულა; 2. ლენინგრადი — 25,5 ქულა, 3. გორი — 25 ქულა.

საქართველოს ძიუდოისტთაგან ჩემპიონები გახდნენ: ა. ზაუტაშვილი (41 კგ, გორი), ა. წიქორიძე (53 კგ, ქუთაისი), ა. აბრამიშვილი (57 კგ, ახმეტა), ა. ღვინიაშვილი (75 კგ, თბილისი), ი. გუსოშვილი (83 კგ, გორი), ლ. ჯაფარიძე (მძიმე, თელავი). მეორე ადგილები წილად ხვდათ: მ. ბოტკოველს (75 კგ, თელავი), ა. სამხარაულს (83 კგ, თბილისი), დ. გიორგაიას, (მძიმე, ქუთაისი), მესამე ადგილებზე კი გავიდნენ: ა. ნავალოვსკი (57 კგ, ახმეტა), გ. ძნელაშვილი (68 კგ, თბილისი), ლ. პეტრიაშვილი (75 კგ, გორი), თ. შალარაშვილი (83 კგ, გორი), ი. ახალბედაშვილი (მძიმე, გორი).

გუნდი მოამზადა მწვრთნელთა ჯგუფმა, რომელშიც იყვნენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ვ. ლაზრიშვილი, ო. ნატროშვილი (ორივე — თბილისი), ი. ფუხაშვილი (გორი) და მწვრთნელი ვ. ბალხამიშვილი (ქუთაისი).

ვერა ბროკელი.

ნონა გაფრინდაშვილი:

„ვხსნი ჩემს კანდიდატურას“

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებული ვარ ზუგდიდის №229 საარჩევნო ოლქში. ამჟამად ნდობით აღჭურვილ პირებთან ერთად ჟიმყოფები ზუგდიდში ამომრჩევლებთან შესახვედრად და წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად. მაგრამ უკანასკნელ დღეებში როგორც რესპუბლიკის, ისე სსრ კავშირის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების, ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მოსალოდნელი შეზღუდვის, საქართველოს უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნებისადმი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულების გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ მხარს ვუჭერ თბილისის სახელმწიფო ფილარმონიაში მიმდინარე საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების შეკრების მონაწილეთა სულისკვეთებას, შეუძლებლად მიმაჩნია ჩემი, პირველ ყოვლისა, როგორც მოქალაქის, ხოლო შემდეგ როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში. ამიტომ ვხსნი ჩემს კანდიდატურას და უარს ვამბობ არჩევნებში მონაწილეობაზე.

აქვე გულწრფელ მადლობას მოვახსენებ საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენს“ დეპუტატობის კანდიდატად დასახელებისათვის და ჩემი მშობლიური ქალაქის იმ ამომრჩევლებს, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ არჩევნებში ჩემი მხარდაჭერა.

ნონა გაფრინდაშვილი,

მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის, საჭადრაკო ოლიმპიადების ათგზის ჩემპიონი,

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

1990 წლის 14 მარტი, ზუგდიდი.

7 აპრილს, რინგზე...

...საბჭოთა ქვეყანაში პირველად გაიმართება მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩი მჩატე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის. მსოფლიოს პირველი ხელთათმანი კოლუმბიელი ხუან პოლო თავის ტიტულს დაიცავს ამერიკელ რობერტ კროგოთან ბრძოლაში. აქვე გაიმართება ორი საჩვენებელი შეხვედრაც ყიკბაქსინგში („კიკი“ ინგლისურად ფეხის დარტყმას ნიშნავს). მეტოქეები ხელსაც და ფეხსაც ხმარობენ ორთაბრძოლაში, რა თქმა უნდა, აცვიათ ხელთათმანები და სპეციალური მოკრივის ფეხსაცმელი, რომელიც ფეხით დარტყმას ძალას უხშობს.

თბილისის სპორტული მაღაზიების რიცხვს კიდევ ერთი სავაჭრო ობიექტი შეემატა. იგი ჯერ კიდევ გასულ წელს გაიხსნა დიდ დიდომში. სპორტულ ნაწარმზე მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება ადასტურებს, რომ ასეთი მაღაზიის გახსნა არა მხოლოდ აუცილებელი იყო ახალ დასახლებაში, არამედ საჭიროა გაუმჯობესდეს მისი სპორტული ხაჭონლით მომარაგება.

ხურათზე: ახალი მაღაზიის დახლთან.

ქართული ნანატრი ნათლობისა

1. საბჭოთა სპორტული იმპერიის ალაყაფის კარების მიჯახუნების მერე ქართველებმა იმპერიულ ნათელმირონსაც ვაქციეთ ზურგი და, აჰა, ნანატრი „იბერიაც“... (როგორც იქნა!!) მე პრესტიჟულადაც კი მეჩვენება, რომ ესპანურ „იბერიებს“ მხარში ამოუდგება გაცილებით უფრო ძველი ქართული „იბერია!“ (მერწმუნეთ, არც არავინ დაიბნევა და არც გაგვიგიჟდება! პირიქით!!!).

ამას მოჰყვა საოცარი „ტაო“ (ვაშა ნათლიებს). თუმცა, მე, რატომღაც „გონიოს“ ველოდი!

მაგრამ კისკასმა ქუთათურებმა კი იჩქარეს: კი, აშკარად იჩქარეს!!

ჯერ ერთი, თუ ევროპას ვგძაძავთ, მაშინ ისიც უნდა ვიანგარიშოთ, რომ იმ ქალაქებს, ვის პრესტიჟსაც მათი გუნდები იცავენ, ფეხბურთის გარდა, არც რაგბის გუნდი ჰყავთ, არც კალათბურთის, არც წყალბურთის და არც... სიმღერის და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი! სწორედ ესაა მიზეზი თუ რატომაა „ბორდოს“, „მილანის“, „ნაპოლის“ თუ „ვალენსიის“ სახელებიც და მისამართებიც **ერთი** და **განუმეორებელი!**

და მეორეც, რომ, — თუ დიდ ისტორიულ ტრადიციებზეა საქმე და კუტაია (და არა ქუთათისი და ქუთაისი); იყო მთელს დუნიაზედ განთქმული კოლხას (და არა კოლხიდას ან კოლხეთის) სატახტო ქალაქი, სადაც იჯდა ასევე განთქმული აიეტი, მაშინ, დღეს, ამ ქალაქის სათაყვანო გუნდს უპრიანია ერქვას ან „კოლხა“ ან „აიეტი“ (მსგავსად „რეალის“, „აიაქსის“, „ბაიერნის“ თუ „აუსტრიისა“).

სხვათა შორის, ავსტრიელთა ეროვნული ამბიციის გამოსახატავად თუკი ერთ-ერთ გუნდს ეწოდა „აუსტრია“, ეს ჩემი აზრით ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ, ჯერ ერთი, ავსტრიელებს სულაც არ ეშინიათ სპორტული **მარცხის** და, მეორეც, რომ ასეთი ზედწოდება პირიქით ხაზს უსვამს მათ ფაქიზ დამოკიდებულებას სპორტთან!

და მესამეც, — (ვგონებ ყველაზე მნიშვნელოვანი), ისაა, რომ სიტყვა „ქუთაისი“ ბოლო ორი „ი“-ის ძნელად წარმოთქმის გამო საშუალებას არ მისცემს ქუთათურ ქომაგთა ლაშქარს ომახიანი ყიჟინა მიაშველონ სათაყვანო გუნდს გასამხნევებლად! (საკვირველია, რატომ არიდებენ თავს ქუთათურები ამ საოცრად მოსხლეტილ და, ამავე დროს, ღრმა მნიშვნელობის მქონე სიტყვას?!).

„კოლხა“, „იბერია“, „გურია“ და „ტაო“.

არა, ნამდვილად იჩქარეს ქუთათურებმა (თუმცა, დრო ჯერ კიდევ აქვთ).

2. უფრო საშური პრობლემაა, — ცხუმის „დინამო“, სამტრედიის „ლოკომოტივი“, რუსთავის „მეტალურგი“ და ცხინვალის „სპარტაკი“ (მაინც, რამ დაგვასია ამდენი არაქართველი ნათლია)?!

არადა, თითქოს იოლზე იოლი უნდა ყოფილიყო ნანატრი სახელების ამორჩევა უცნობ-ნაცნობი ტოპონიმების იმ ზღვაში, ამ ბოლოს რომ მოგვასკდა. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ საფეხბურთო ჭეშმარიტებაც საკმაოდ ვიწრო და საკმაოდ ღრმა რამ ყოფილა!

პირადად მეც ვეძიე და ცხუმის „დინამოს“ გადასანათლად ისევ და ისევ „დიოსკურიას“ დავუბრუნდი! . უაღრესად ზუსტ, „მოციმციმე“ უძირძველეს სიტყვას!

„კოლხა“, „იბერია“, „გურია“, „ტაო“ და „დიოსკურია“!

ლამისაა მთელ ისტორიას მოგვითხრობს ეს სახელები!

3. კაცმა რომ თქვას, არც ქართველ მეტალურგებს უნდა ჰქონდეთ საქმე „საჩხრეკად და საქექად“.

ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს თასის ფინალში გასულ რუსთაველ ქომაგებს დიდი პლაკატი ეჭირათ „დინამოს“ ყოფილ (ენამ მიყიყვლა!) სტადიონზე — „ხალიბებს მხოლოდ ჩემპიონობა“!

ამიტომ **„ხალიბი“** იქნება, **„ხალიბაური“** თუ **„რვალი“** და **„გორდა“**, სულ ერთია, ოღონდ მოგგაცილდეს კანცელარიტის პედანტური ალმაფრენით მიკერებული სახელი „მეტალურგი“!

4. რაც შეეხება „ლოკომოტივს“, სამტრედიის დეპოც და სტადიონიც, შეიძლება ითქვას, ზედ ფაზის რიონის ნაპირზეა, მაგრამ „ფაზისი“, ვგონებ მალე ფოთელებს უფრო დაჭირდებათ (ორი კოლხეთი და ერთიც „კოლხა“ ალბათ ნამეტანია), ხოლო ეღერადობის ლაზათით არც კოლხეთის დაბლობზე გამდორებული „რიონია“ ურიგო და არც ლათინურ-იტალიურივით ლამაზად ეღერადი „სმატრედია“! (კი, „სამტრედია“!).

5. „სპარტაკი!“ მიუხედავად ქართველი ერის უდიდესი და წრფელი პატივისცემისა ამ დიდი მეამბოხის მიმართ, მაინც ჩვენებური სახელია მოსაძებნი (დაე ჩვენებური მეამბოხის!).

რბილია და ამოსათქმელად ძნელი „ლიახვი“, „ცხენისწყალი“ და, ჩემის აზრით, „სამაჩაბლოც“

არაუშავდა „ჯავას“ იგი რომ გუნდის მისამართიც ყოფილიყო! (გაქეიფლს გატეხილი ჯობია და „ადამონ-ნიხასის“ „თავგამოდება“ რომ არა, პრობლემა გაცილებით იოლად გადაიჭრებოდა!).

ამიტომ, — თქვენი არ ვიცი, მაგრამ ყველაზე ახლოს დღევანდელ ჭეშმარიტებასთან „ძაუ“ უნდა იყოს! (ეთნოგრაფებო, აქეთ!).

6. და რაკი წილი ნაყარია და რუბიკონი შორს დაგვრჩა, ბარემ გადავხედოთ მთელ „ბრძოლის ველს:“

მშვენიერი ქართული სიტყვებია „მზიური“, „დილა“, „მერცხალი“, „შადრევანი“, მაგრამ, მეჩვენება, რომ თავისი არსით და ეღერადობით ეს სიტყვები უფრო ბავშვების და გოგოების გუნდებს მოუხდებოდა! ასე არ არის?

ან კიდევ, უმაღლეს ლიგაში სამ „კოლხეთს“ ერთი „ეგრისი“ და მის გვერდით ასეთივე ლამაზი და ეშხიანი რამ სიტყვა აჯობებდა.

საერთოდ, ენათმეცნიერებისთვის არაა საკვირველი და ჩვენც ამას უნდა ჩავუფიქრდეთ, რომ ისტორიული ავბედობის თუ ჩვენი გულმავიწყობის გამო რატომ მივატოვეთ საქართველოს მთაში ან მეგრულში უყურადღებოდ ულამაზესი სიტყვები, რომელთაც შემორჩენილი აქვთ ქართული ენის ნამდვილი ძარღვი ანუ მისი „საწყისი ნივთიერება“: — უშბა, ზხარა, ზხელდა, ხალდე, ჯიმარაი, თეთნულდი, როშკა, არხოტიონი, დიკლო, ამირანთა, ირაო (და საირაო), ქალდე, მოსხა... და ასე შემდეგ (ეთნოგრაფებო, აქეთ!).

აკი ასე იოლად ჩამოვაბაძრგეთ ბარში „უშბა“ და ასე იოლად მივაკერეთ იგი ინტურისტის უბადრუკ სასტუმროს და ბენზინ-მაზუთის სურნელით თავბრუდახვეულ ავტოსერვიზს?! (ვაშა ნათლიებს).

თუმცა დრო ჯერ კიდევ არის!

ეთნოგრაფებო, პოეტებო და, საერთოდ, ქართული ენის მესაიდუმლენო, აქეთ!

7. და ბოლოს ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი: ბევრს აფიქრებს კვლავ იფეთქებს თუ არა საქართველოს დიდ ჩემპიონატზე გარდასულ ჩემპიონატებში ასე ჩვეული და თითქმის დაკანონებული ჭიჭყლეტა და მუშტი-კრივი მინდორზე, ტრიბუნებზე თუ კულისებში!?

კვლავ იჩენს თუ არა თავს კუთხური, მყრალი ჯიბრი და ლაჩრული შურისგება!?

და რაკიღა წელსვე ვუმიზნებთ ევროპას და მსოფლიოს, ხომ არ შემოგვეღო საქართველოს სტადიონებზე რაღაც საფეხბურთო (თუმცა რატომ მარტო საფეხბურთო?) რიტუალი კაპიტალისტური ქვეყნების სასამართლოებში რომაა მიღებული?! (ბიბლიაზედ დაფიცება რომ ქვია, აი, ამის მსგავსი რამ?!)... ვთქვათ რაღაც მოკლე და რაღაც სპორტულად ღრმა ფიცი (ან პირობა!), რომელსაც სტადიონების დიქტორთა კვალდაკვალ ასპარეზობის წინ ერთად წარმოსთქვამენ ფეხზე ამდგარი ტრიბუნებიც, მოედანზე გამოსული გუნდებიც და, რა თქმა უნდა, მსჯეველებიც?!

დიახ, რაღაც ფიცის, რაღაც პირობის მსგავსი რამ, რომლის ლაკონურ ტექსტში ჩაქსოვილი იქნებოდა ელემენტარულზე ელემენტარული, მაგრამ ასე ხშირად გაუკუღმართებული სპორტული ეთიკის ჭეშმარიტება, რომ:

— არა ვაკადროთ უკადრისი არც საქართველოს...

— და არც საქართველოს ვაკაცებს!...

— არა ვაკადროთ უკადრისი არც გამარჯვებულ მეტოქეს.

— და არც მქმნელთ სამართლისა მართლისა! (ანუ მსაჯებს).

რაოდენ სენტიმენტალურადაც უნდა ჟღერდეს დღეს ასეთი განაზრახი, მე ღრმად მწამს, ამ რიტუალს ექნებოდა მართალია, არაოფიციალური. სამსაჯულო უფლებამოსილება, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც ყველა საზეიმო რიტუალს, მას აუცილებლად ექნება ზნეობრივი და ემოციური ზემოქმედების ძალა!

მეტიც, ასეთი რიტუალი უფლებას მისცემდა უმრავლესობას უმცირესობის ხელყოფისგან დაეცვა ერის და ასპარეზის პრესტიჟი თუ რეპუტაცია!

თუ დღეს ქართველ ერს მაინც არ აღმოაჩნდება სპორტული ეთიკის დაცვის უნარი, რანაირად უნდა მივხედოთ თუნდაც... საერთოდ დამოუკიდებელ საქართველოს!?

სპორტი ხომ ეროვნული „მეს“ პიროვნების უთვალსაჩინოესი სარკეა?!

ლერი სიხარულიძე,

კინორეჟისორი.

• • •

P. S. ეს წერილი მზად მქონდა, როცა „ლელოს“ 12 მარტის ნომერში თვალი გადავავლე გამოხმაურებებს ამ თემებზე.

როგორც ჩანს მრგვალი მაგიდის გამართვა გადაუდებლად აუცილებელია და, ალბათ, ეს საქმეც ისევ „ლელომ“ უნდა ითავოს!

საფეხბურთო გუნდებს ფინანსური დახმარება

შევიძენთ

100 აბონემენტს

გვეღირება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. ამ საშვილიშვილო საქმეს ხელისშეწყობა და ყოველმხრივი დახმარება ესაჭიროება, მაგრამ მხოლოდ სიტყვით არა.

აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტის თანამშრომლებმა გადავწყვიტეთ შევისყიდოთ სულ მცირე 100 ფეხბურთის აბონემენტი. იმედია, ამ ეროვნულ საქმეში მხარს დაგვიჭერენ სხვადასხვა ორგანიზაციები. ყველამ უნდა გიგოს, რომ ფეხბურთს შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა ისევე, როგორც ქართველ ერს, რომ იგი კიდევ იტყვის თავის სიტყვას საერთაშორისო ასპარეზზე ისევე, როგორც ეს მოხდა 1981 წელს, ოღონდ მომავალში უკვე სრულიად საქართველოს სახელით.

გურამ ხუციშვილი,

პროფესორი.

გოგი გოგიჩაძე,

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

თამარ სოსელია,

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

თქვენც ჩოგიწოდებთ

„ლელოს“ 1 მარტის ნომერში გამოქვეყნდა თბილისის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ახალი ანგარიშის ნომერი 000700574 (პირველი მაისის რაიონი, თბილისის ბინსოცბანკის განყოფილება).

მე პირადად გაძღვრიცხავ ერთი თვის ხელფასს 240 მანეთს, აქედან ნახევარს ე. ი. 120 მანეთს ახლავე, ნახევარსაც ორი თვის შემდეგ, გარდა ამისა, შევიძენ ხუთ აბონემენტს ოჯახის წევრებისათვის, აგრეთვე შევიტან საწევრო გადასახადს და კლუბში გავწევრიანდები ჩემს ორ პატარა ბიჭთან ერთად.

ამასვე მოვუწოდებ ჩემს მეგობრებს გუბაზს და ვალერს, ირაკლის, ტატოს და ჯემალს. საბედნიეროდ აქ ჩამოთვლილი ჩემი მეგობრები ფერომეტ შვილს უზრდიან სამშობლოს და თერთმეტივე ვაჟია, ანუ მთელი ფეხბურთის გუნდი.

დარწმუნებული ვარ მოგვბაძავენ ჩვენი დანარჩენი თანაკურსელები — გივი, ქრისტო, ოქრო და განა მარტო ისინი... კიდევ ვინ იცის, რამდენი ქართველი პატრიოტი.

ასე ერთსულოვნად ავაყვავოთ ქართული ფეხბურთი და, რა ვუყოთ თუ შემოგვიწყრებიან უცხოეთის კომერციული ფირმები, არაუშავს, „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

თამაზ მიქუტაძე

კახპი, სოფ. ხოვლე.

სხვებსაც დავეხმაროთ

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მთელმა კოლექტივმა (68 თანამშრომელი) თბილისის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ანგარიშზე გადარიცხა ერთი დღის ხელფასი.

მაგრამ სხვა გუნდებსაც ყველამ უნდა გავუწოდოთ დახმარების ხელი, ჩვენ მტკიცედ გვწამს ქართული ფეხბურთის მომავლისა.

სიამაყის გრძნობით მაგონდება 16 წლის წინათ ესპანეთში თბილისის „დინამოს“ მიერ მოპოვებული „კოლუმბიის თასი“, წარმატებები ესპანეთისა და პორტუგალიის განთქმულ გუნდებთან, მაგრამ სევდით მაგონდება ის, რომ საკავშირო სპორტკომიტეტმა გამარჯვებისთვის მიღებული ჯილდო 13 ათასი დოლარი მთლიანად ჩაიჯიბა, მაშინ, როცა მისი გამოყენება ქართული ფეხბურთის კეთილდღეობისთვისაც ესოდენ საჭირო იყო.

ფილიპე ბახარაძე,

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

ფეხბურთი ეროვნული ოლიმპიადა

(დასასრული)

დგომაზე მეტყველებს რეფერაციაში რესპუბლიკის ფედერაციის სახელზე მოსული უამრავი წერილი და დეპეშა. ფეხბურთის მოყვარულები, ორგანიზაციები, საწარმოები ფინანსურ დახმარებასაც აღუთქვამენ (რომელიც ასე ჰაერივით სჭირდება) ახალშექმნილ ფეხბურთის ფედერაციას. მისასალმებელია ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტ „ზაკტრანსპორტის“ სამრეწველო საწარმოთა კომბინატის გადწყვეტილება თავისი სახსრებით აუშენოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ბავშვთა საწვრთნელი საფეხბურთო ბაზა დედაქალაქის ნებისმიერ რაიონში. დაგვეთანხმებით, ასეთ ძვირფას საჩუქარზე ფიქრი ადრე შეუძლებლადაც კი მიგვაჩნდა, რადგანაც ჩვენს დედაქალაქშიც (აღარაფერს ვამბობთ პერიფერიებზე) ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს, რომლებიც საკავშირო გათამაშებებში მუდამ ფავორიტთა შორის არიან, ელემენტარული სავარჯიშო პირობებიც კი არ გააჩნიათ. მაგალითისთვის ერთი სკოლის დასახელებაც კმარა. თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა, რომელსაც წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ელოშვილი უდგას სათავეში, რამდენიმე წელია თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონის ტერიტორიაზე ასფალტის მოედანზე ვარჯიშობს. რა პერსპექტიულიც უნდა იყოს მოზარდი და რა თავგამოდებითაც უნდა მუშაობდნენ მათთან მწვრთნელები, ზრდასრულ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. არადა, ბევრ ტიტულოვან საფეხბურთო ქვეყანაშიც არ აღზრდილა იმდენი ტყავის ბურთის ოსტატი, რამდენიც თავისი არსებობის მანძილზე ამ ერთმა სკოლამ მოგვცა. იმედი უნდა ვიქონიოთ, ფედერაცია უყურადღებოდ არ დატოვებს ბავშვთა ფეხბურთის პრობლემებსაც, რომელიც, სამწუხაროდ, ასე დაგვიგროვდა.

როგორც იცით, 15 თებერვალს ფედერაციის დამფუძნებელ ყრილობაზე გადაწყდა ჩვენი რესპუბლიკის ყველა გუნდის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა. როგორც ვიცით, რესპუბლიკის გუნდების უმეტესობა სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს.

აქვე გვინდა ერთ გარემოებასაც მიექცეს ყურადღება. ვინც კი ოდნავ მაინც არის ჩახედული ფეხბურთელთა კლუბების „ყოველდღიურ ცხოვრებაში, კარგად იცის თუ რა ძნელია მათთვის სულ მცირე ცვლილება თუნდაც გათამაშების კალენდარში. ამიტომაც არ უნდა გავკიცხოთ ის სპორტსმენები, რომლებმაც თავიდანვე ვერ. დასძლიეს ის ფსიქოლოგიური სტრესი, რომელიც 15 თებერვალს ფედერაციის დამფუძნებელმა ყრილობამ გამოიწვია. ისინი ხომ თითებზე ითვლიდნენ საკავშირო ჩემპიონატის დაწყების დროს და უცებ ეროვნული ჩემპიონატი... რამდენიც უნდა გველაპარაკა ფეხბურთელებთან (და არა მარტო მათთან) ეროვნული ჩემპიონატის აუცილებლობაზე, დროის მოკლე მონაკვეთში მათ ამას ვერ დაუმტკიცებდით. დღეს კი, როცა ყრილობის შემდეგ თვე გავიდა, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა ყველა მოთამაშემ აუცილებლად ჩათვალა. მათ კარგად ესმით, რაოდენ საჭირო ნაბიჯი გადაიდგა. სწორედ მათ თავდადებასა და შრომისუნარიანობაზეა დამოკიდებული ჩვენი ქართული ფეხბურთის ხვალინდელი დღე.

მაშ ასე: პარასკევს, 30 მარტს სტარტი მიეცემა ეროვნულ ჩემპიონატს ფეხბურთში. შეგახსენებთ, რომ უმაღლეს ჯგუფში იასპარეზებს 18 გუნდი, ესენია: თბილისის „იბერია“ (ყოფილი „დინამო“), ლანჩხუთის „გურია“, ქუთაისის „ქუთაისი“ (ყოფილი „ტორპედო“), ბათუმის „ბათუმი“ (ყოფილი „დინამო“), სოხუმის „დინამო“, ფოთის „კოლხეთი“, სამტრედიის „ლოკომოტივი“, გორის „დილა“, ხობის „კოლხეთი“, ოზურგეთის „მერცხალი“, რუსთავის „მეტალურგი“, თბილისის „შევარდენი“, წყალტუბოს „შადრევანი“, ზუგდიდის „ოდიში“ (ყოფილი „დინამო“), ოჩამჩირის „ამირანი“, გალის „მზიური“, ხაშურის „ივერია“ და ცხინვალის „სპარტაკი“.

პირველ ჯგუფში გამოვლენ: ბაგრის „დინამო“, ვანის „სულორი“, წალენჯიხის „ხვური“, ჩხოროწყუს „სამეგრელო“, ფიზკულტურინ ინსტიტუტი (თბილისი), ზესტაფონის „მეტალურგი“, ბოლნისის „ხიონი“, მცხეთის „არმაზი“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი), ყვარლის „დურუჯი“, გურჯაანის „ალაზანი“, თერჯოლის „საპოვნელა“, გორის რაიონის „ქართლი“, ხონის „იმერეთი“, ქობულეთის „ნარინჯი“, ახმეტის „ბაბტრიონი“, თელავის „კახეთი“, ჭიათურის „მაღაროელი“, დუშეთის „არაგვი“ და ხაჩხერის „ჩიხურა“.

30 მარტს ჩატარდება ერთი მატჩი უმაღლეს ჯგუფში. თბილისის „იბერია“ ფოთის „კოლხეთს“ უმასპინძლებს. ტურის სხვა შეხვედრები 31 მარტსა და 1 აპრილს გაიმართება.

ზაზა კახაძე.

საქართველოს 1990 წლის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარი

უმაღლესი ჯგუფი, I ნრე

I ტური

30 მარტი

„იბერია“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი)

31 მარტი

„კოლხეთი“ (ხობი) — „შადრევანი“ (წყალტუბო)
„დინამო“ (სოხუმი) — „შევარდენი“ (თბილისი)
„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „ოდიში“ (ზუგდიდი)
„ოზურგეთი“ (ოზურგეთი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე)
„იმერეთი“ (სამტრედია) — „სპარტაკი“ (ცხინვალი)
„გურია“ (ლანჩხუთი) — „დილა“ (გორი)
„ბათუმი“ (ბათუმი) — „მეტალურგი“ (რუსთავი)
„მზიური“ (გალი) — „ივერია“ (ხაშური)

II ტური — 4 აპრილი

„შადრევანი“ — „ივერია“
„კოლხეთი“ (ფოთი) — „მზიური“
„მეტალურგი“ — „იბერია“
„დილა“ — „ბათუმი“
„სპარტაკი“ — „გურია“
„ამირანი“ — „იმერეთი“
„ოდიში“ — „ოზურგეთი“
„შევარდენი“ — „ქუთაისი“
„კოლხეთი“ (ხობი) — „დინამო“

III ტური — 12 აპრილი

„დინამო“ — „შადრევანი“
„ქუთაისი“ — „კოლხეთი“ (ხობი)
„ოზურგეთი“ — „შევარდენი“
„იმერეთი“ — „ოდიში“
„გურია“ — „ამირანი“
„ბათუმი“ — „სპარტაკი“
„იბერია“ — „დილა“
„მზიური“ — „მეტალურგი“
„ივერია“ — „კოლხეთი“ (ფოთი)

IV ტური — 17 აპრილი

„შადრევანი“ — „კოლხეთი“ (ფოთი)
„მეტალურგი“ — „ივერია“
„დილა“ — „მზიური“
„სპარტაკი“ — „იბერია“
„ამირანი“ — „ბათუმი“
„ოდიში“ — „გურია“
„შევარდენი“ — „იმერეთი“
„კოლხეთი“ (ხობი) — „ოზურგეთი“
„დინამო“ — „ქუთაისი“

V ტური — 21 აპრილი

„ქუთაისი“ — „შადრევანი“
„ოზურგეთი“ — „დინამო“
„მზიური“ — „სპარტაკი“
„ივერია“ — „დილა“
„კოლხეთი“ (ფოთი) — „მეტალურგი“

22 აპრილი

„იმერეთი“ — „კოლხეთი“ (ხობი)
„გურია“ — „შევარდენი“
„ბათუმი“ — „ოდიში“
„იბერია“ — „ამირანი“

VI ტური — 28 აპრილი

„შადრევანი“ — „მეტალურგი“
„დილა“ — „კოლხეთი“ (ფოთი)
„სპარტაკი“ — „ივერია“
„ამირანი“ — „მზიური“
„ოდიში“ — „იბერია“
„შევარდენი“ — „ბათუმი“
„კოლხეთი“ (ხობი) — „გურია“
„დინამო“ — „იმერეთი“
„ქუთაისი“ — „ოზურგეთი“

VII ტური — 2 მაისი

„ოზურგეთი“ — „შადრევანი“
„იმერეთი“ — „ქუთაისი“
„გურია“ — „დინამო“
„ბათუმი“ — „კოლხეთი“ (ხობი)
„იბერია“ — „შევარდენი“
„მზიური“ — „ოდიში“
„ივერია“ — „ამირანი“
„კოლხეთი“ (ფოთი) — „სპარტაკი“
„მეტალურგი“ — „დილა“

VIII ტური — 6 მაისი

„შადრევანი“ — „დილა“
„სპარტაკი“ — „მეტალურგი“
„ამირანი“ — „კოლხეთი“ (ფოთი)
„ოდიში“ — „ივერია“
„შევარდენი“ — „მზიური“
„კოლხეთი“ (ფოთი) — „იბერია“
„დინამო“ — „ბათუმი“
„ქუთაისი“ — „გურია“
„ოზურგეთი“ — „იმერეთი“

IX ტური — 11 მაისი

„იმერეთი“ — „შადრევანი“
„გურია“ — „ოზურგეთი“
„ბათუმი“ — „ქუთაისი“
„იბერია“ — „დინამო“
„მზიური“ — „კოლხეთი“ (ხობი)
„ივერია“ — „შევარდენი“
„კოლხეთი“ (ფოთი) — „ოდიში“
„მეტალურგი“ — „ამირანი“
„დილა“ — „სპარტაკი“

X ტური — 15 მაისი

„შადრევანი“ — „სპარტაკი“
„ამირანი“ — „დილა“
„ოდიში“ — „მეტალურგი“
„შევარდენი“ — „კოლხეთი“ (ფოთი)
„კოლხეთი“ (ხობი) — „ივერია“
„დინამო“ — „მზიური“
„ქუთაისი“ — „იბერია“
„ოზურგეთი“ — „ბათუმი“
„იმერეთი“ — „გურია“

XI ტური — 20 მაისი

„გურია“ — „შადრევანი“
„ბათუმი“ — „იმერეთი“
„იბერია“ — „ოზურგეთი“
„მზიური“ — „ქუთაისი“
„ივერია“ — „დინამო“
„კოლხეთი“ (ფოთი) — „კოლხეთი“ (ხობი)
„მეტალურგი“ — „შევარდენი“
„დილა“ — „ოდიში“
„სპარტაკი“ — „ამირანი“

XII ტური — 1 ივნისი

„შადრევანი“ — „ამირანი“
„ოდიში“ — „სპარტაკი“
„შევარდენი“ — „დილა“
„კოლხეთი“ (ხობი) — „მეტალურგი“
„დინამო“ — „კოლხეთი“ (ფოთი)
„ქუთაისი“ — „ივერია“
„ოზურგეთი“ — „მზიური“
„იმერეთი“ — „იბერია“
„გურია“ — „ბათუმი“

XIII ტური — 5 ივნისი

„ბათუმი“ — „შადრევანი“
„იბერია“ — „გურია“
„მზიური“ — „იმერეთი“
„ივერია“ — „ოზურგეთი“
„კოლხეთი“ (ფოთი) — „ქუთაისი“
„მეტალურგი“ — „დინამო“
„დილა“ — „კოლხეთი“ (ხობი)
„სპარტაკი“ — „შევარდენი“
„ამირანი“ — „ოდიში“

XIV ტური — 10 ივნისი

„შადრევანი“ — „ოდიში“
„შევარდენი“ — „ამირანი“
„კოლხეთი“ (ხობი) — „სპარტაკი“
„დინამო“ — „დილა“
„ქუთაისი“ — „მეტალურგი“
„ოზურგეთი“ — „კოლხეთი“ (ფოთი)
„იმერეთი“ — „ივერია“
„გურია“ — „მზიური“
„ბათუმი“ — „იბერია“

XV ტური — 16 ივნისი

„იბერია“ — „შადრევანი“
„მზიური“ — „ბათუმი“
„კოლხეთი“ (ფოთი) — „იმერეთი“
„სპარტაკი“ — „დინამო“

17 ივნისი

„ივერია“ — „გურია“
„მეტალურგი“ — „ოზურგეთი“
„დილა“ — „ქუთაისი“
„ამირანი“ — „კოლხეთი“ (ხობი)
„ოდიში“ — „შევარდენი“

XVI ტური — 23 ივნისი

„შადრევანი“ — „შევარდენი“
„კოლხეთი“ (ხობი) — „ოდიში“
„დინამო“ — „ამირანი“
„ოზურგეთი“ — „დილა“
„ბათუმი“ — „ივერია“

24 ივნისი

„ქუთაისი“ — „სპარტაკი“
„იმერეთი“ — „მეტალურგი“
„გურია“ — „კოლხეთი“ (ფოთი)
„იბერია“ — „მზიური“

XVII ტური — 30 ივნისი

„მზიური“ — „შადრევანი“
„ივერია“ — „იბერია“
„კოლხეთი“ (ფოთი) — „ბათუმი“
„მეტალურგი“ — „გურია“
„დილა“ — „იმერეთი“
„სპარტაკი“ — „ოზურგეთი“
„ამირანი“ — „ქუთაისი“
„ოდიში“ — „დინამო“
„შევარდენი“ — „კოლხეთი“ (ხობი)

22-27 მაისი

საქართველოს ეროვნული თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის შეხვედრები.

5-9 ივლისი

საქართველოს ეროვნული თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის შეხვედრები.

18 ივლისი

ეროვნული თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

შენიშვნა: თამაშები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ზოგიერთი გუნდის სახელწოდება ჯერჯერობით პირობითია.

ფეხბურთის წესები იცვლება?

დიდი გაკვირვება გამოიწვია გაზეთ „პრავდაში“ 10 მარტს დაბეჭდილმა წერილმა. იქ ლაპარაკია იმაზე, რომ 1994 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება, შესაძლოა თამაშის ახალი წესებით ჩატარდეს. დიახ, დიახ, ახალი წესებით, თანაც ლაპარაკია არა რაიმე უმნიშვნელო მოდიფიკაციაზე, წვრილმანზე, საქმე უხება საფუძვლიან ცვლილებებს, სრულიად ახალ რეგლამენტს. კერძოდ, თამაში უნდა გაგრძელდეს 100 წუთს, ორის ნაცვლად დაწესდება ოთხი ტაიმი თითოეული 25-25 წუთის ხანგრძლივობით. პირველი ტაიმის შემდეგ გუნდები მხარეებს შეცვლიან, პაუზა ამ დროს შეადგენს 2-3 წუთს, მეორე ტაიმის შემდეგ მოხდება ჩვეულებრივი 10-წუთიანი შესვენება და მესამე ტაიმის შემდეგ გუნდები კვლავ შეიცვლიან მხარეებს და კვლავ 2-3-წუთიანი პაუზა. რაღაც კალათბურთის ან ხოკეის მსგავსი სქემაა, სრულიად უცხო ფეხბურთისთვის.

ნუთუ ამგვარი რამ შესაძლოა მოხდეს ფეხბურთში, რომელიც უპირველესად იმითაა ცნობილი, რომ ზუსტად აწონ-დაწონილი, ლოგიკურად გამართული და დასრულებული, ამ თამაშისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სათამაშო კოდექსი აქვს.

გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია, თურმე, თავის ამ ახალ რეგლამენტს უმთავრესად მხოლოდ იმიტომ გვთავაზობს, რომ სურს დაყაბულდეს ტელე და რადიოკომპანიების მოთხოვნებს მკვეთრად გაიზარდოს სარეკლამო განცხადებათა გადაცემის რაოდენობაც და სიხშირეც უშუალოდ საფეხბურთო შეხვედრათა რეპორტაჟის დროს.

როდის იყო, რომ ისეთი სოლიდური ორგანიზაცია, როგორიც არის ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია, თამაშის კოდექსს სარეკლამო გადაცემათა კაპრიზებს უქვემდებარებდა და, საერთოდ, მის დაკვრაზე ცეკვავდა. სრულიად მოულოდნელია ისიც, რომ ახალი საფეხბურთო წესების პროექტმა, თურმე, როგორც „პრავდა“ წერს, თვით ფიფა-ს პრეზიდენტის ჟოაო აველანჟის მარდაჭერა ჰპოვა, ჟ. აველანჟი კი, პირველ ყოვლისა, სწორედ იმითაა ცნობილი, რომ ფეხბურთის წესებში ყოველგვარი უსარგებლო, „ნოვატორული“ სიახლის კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო და მუდამ ერთგულად უჭერდა მხარს ფიფა-სთან არსებული წესების საერთაშორისო კომიტეტს, რომელიც აშკარად კონსერვატულობით გამოირჩევა და ლაპარაკიც არ სურს ფეხბურთის წესებში რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებაზე.

მაგრამ ფაქტი ფაქტია და „პრავდას“ მოჰყავს კიდეც ჟ. აველანჟის ინტერვიუ გაზეთ „გლობუდან“, სადაც პრეზიდენტი თავის მოსაზრებებს სთავაზობს საფეხბურთო სამყაროს.

აი, ჟ. აველანჟის ოფიციალური განცხადება:

— ყველაფერი ეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ძველი ჩანაფიქრია, იგი უკვე 20 წელია ამ საკითხზე ფიქრობს, ახლა, ფეხბურთის მნიშვნელოვანი ევოლუციის შემდეგ დაგროვილი გამოცდილებისა და აუცილებლობის შემდეგ საჭიროა ერთხელ კიდევ შევისწავლოთ სიახლეთა საკითხი და ექსპერიმენტი ჩავატაროთ. ეს ნოვაციები, უპირველეს ყოვლისა, პასუხობს მაღალპროფესიული ფეხბურთის კონცეფციებს, მაგრამ არის ფინანსური ასპექტიც. ტელევიზია საფეხბურთო ცხოვრებს მძლავრ ფაქტორად იქცა, ჩვენ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა უნდა დავამყაროთ ტელევიზიასთან, არ ჩამოვრჩეთ მას.

უახლოეს ხანში გადაწყვეტილი მაქვს დავტოვო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი, მაგრამ მანამდე მინდა მივაღწიო იმას, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლოს აზიამ, კერძოდ, იაპონიამ, ჩინეთმა ან საუდის არაბეთმა. ეს იოლი არაა. მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისი დიდ თანხებს მოითხოვს, საჭიროა საავტომობილო, სარკინიგზო გზების, საავიაციო ხაზების მოდერნიზაცია, დაუმატეთ ამას სასტუმროები, სავარჯიშო ბაზები. გასართობი დაწესებულებები, კვების ორგანიზაცია და სხვა მრავალი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ წესრიგის დამყარებაც საჭიროა, ამასაც დიდი ხარჯები უნდა. სტადიონზე მოსულ მაყურებელს ისე ვერ ვხვდებით, როგორც საჭიროა. ფეხბურთზე დამსწრე ადამიანს ყოველნაირი პირობა უნდა შეუქმნათ.

დაბოლოს, ჟ. აველანჟმა განაცხადა:

— ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ჩილეს ფეხბურთის ფედერაცია იმ ინციდენტისთვს, რომელიც რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ სტადიონზე შარშან სექტემბერში მოხდა ბრაზილიისა და ჩილეს გუნდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, დისკვალიფიცირებულია 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩილეს ფედერაციის ხელმძღვანელებს წინადადება მისცა ექსპერიმენტის სახით ჩაატაროს ეროვნული ჩემპიონატი ახალი წესების მიხედვით. ამ სიახლეთაგან ერთ-ერთი მთავარია ის, რომ სათამაშო მინდვრის გვერდითი ხაზის გარეთ გასული ბურთი თამაშში შეიყვანონ არა ხელით, როგორც ახლა ხდება, არამედ ფეხით, ე. ი. თავისუფალი დარტყმის მეშვეობით.

„ფაზისი“ ათეულშია

მონტევიდეო. ორი კვირაა ურუგვაის საკურორტო ქალაქი პუნტა-დელ-ესტე აფროსნობით ცხოჯრობს. მსოფლიოს გარშემო მრავალთვიანი რეგატის „უიტბრედის“ მონაწილენი მეოთხე ეტაპის „ჭრილობებს“ იშუშებენ, არემონტებენ ნავებს, ამზადებენ მათ ახალი რბოლისთვის. უკვე ჩატარებულმა ოთხმა ეტაპმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ოკეანის ტალღების წინააღმდეგ ბრძოლა ერთი-ორად უფრო უჭირთ ჰატარა გაბარიტების ნავებს.

ზოგ მათგანს მეოთხე ეტაპზე ჰართლაც შავი დღე დაადგა. ფინეთის იახტას „ბარტელას“, მაგალითად, ეტაპის ფინიშამდე 100 მილით ადრე დაუზიანდა სავალი ნაწილი და ეკიპაჟის თორმეტივე წევრი სულ რამდენსამე წუთში წყალში აღმოჩნდა. კარგი რომ დაზარალებულებს დროზე მიუსწრეს შვეიცარიის „მერიტმა“ და საფრანგეთის „შარლ ჟურდენმა“ და ყველანი ნავებზე აიყვანეს. ავარიის გამო რბოლას გამოეთიშა ბელგიის „რუკანორიც“.

მეოთხე ეტაპის სტარტი, როგორც ცნობილია, ოცდასამმა ნავმა აიღო, ექვსიათასმილიანი დისტანცია კი მეტნაკლები წარმატებით დაამთავრა ოცდაერთმა ნავმა, მათ შორის იყო ფოთში აშენებული საბჭოთა ნავი „ფაზისი“.

ჰორნის კონკხამდე „ფაზისი“ ლიდერთა შორის იმყოფებოდა. მაგრამ შემდეგ სრული უქარობის ზონაში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, სწორი გადაწყვეტილება ვერ მიიღო კაპიტანმა სკიპ ნოვაკმა, როცა ნავს კურსი სამხრეთის სიგანედისკენ აღებინა. აქ „ფაზისს“ წინ გადაეღობა ყინულის ლოდები და აისბერგები. ერთ-ერთი „შეტაკების“ დროს ნავს დაუზიანდა საჭე, რომლის შეკეთებასაც გარკვეული დრო დასჭირდა. სწორედ ამის გამო ფინიშის ხაზი მეცამეტემ გადაკვეთა. მერე კი, როცა მსჯოთ კოლეგამ „წმინდა დრო“ იანგარიშა, აღმოჩნდა, რომ „ფაზისი“ ჯერჯერობით მეათე ადგილზეა.

მეხუთე რბოლის წინ საბჭოთა ეკიპაჟი ისვენებს. წინ კიდევ ორი უმნელესი ეტაპია.

დამარცხება მეორე მატჩეიც

ბუენოსი დონეცკში გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე მატჩი ადგილობრივ „შახტიორსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. ერთი დღით ადრე, როგორც ვიუწყებოდით, დონეცკელმა კალათბურთელებმა ოცქულიანი უპირატესობით გაიმარჯვეს. განმეორებით შეხვედრაშიც მასპინძლების უპირატესობა უდავო იყო და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 122:98 (64:48). ადგილობრივ მომაზილველთა აზრით ამ დღეს საუცხოოდ ითამაშა თბილისელმა გია სანაძემ, მაგრამ მისმა სამქულიანმა სნაიპერულმა სროლებმაც კი ვერ უშველა საქმეს.

ნათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 მარტისთვის				
ცსკა	35	30	5	65
„დინამო“ (მ.)	36	27	9	63
„კალევი“ (ტალ.)	37	24	13	61
ვეფ (რიგა)	38	23	15	61
„ბუდიველ.“ (კ.)	36	23	13	59
„ხპარტ.“ (ლენ.)	38	18	20	56
„ჟალგ.“ (კაუნ.)	37	18	19	55
რტი (მინსკი)	38	12	26	50
„დინ.“ (თბილისი)	38	12	26	50
ახკ (ალმა-ათა)	31	18	13	49
„შაბტ.“ (დონ.)	38	11	27	49
„სტატია“ (ვილნ.)	40	6	34	46

„სპორტპროგნოზი“

მე-10 ტირაჟის პროგრამა (9-11 მარტი)

1—2, 2—1, 3—X, 4—2, 5—X, 6—X, 7—X, 8—X, 9—1, 10—1, 11—1, 12—X, 13—X.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

ITALIA'90

დოპინგ-კონტროლი ჩემპიონატზე

ფეხბურთელები, საერთოდ, იშვიათად მიმართავენ აკრძალულ პრეპარატებს, რადგანაც გუნდურ თამაშებში დოპინგი ნაკლებეფექტურია. ბოლო ასეთი შემთხვევა აღინიშნა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველს რამონ კალდერეს შემოწმებისას ორგანიზმში აღმოუჩინეს დოპინგი, ეს კი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ 13.900 დოლარით დაეჯარიმებინათ.

მკვლელები გულმოწყალეგას მოითხოვენ

დიდხანს გრძელდებოდა ძიება და სასამართლოს მსვლელობა იმ 16 ხულიგანი გულშემატკივრის საქმეზე, რომელთა თავგადასავლობის შედეგად ბრიუსელის „ეიზელის“ სტადიონზე 1985 წლის 29 მაისს საშინელი ტრაგედია დატრიალდა. იმ დღეს ევროპის ჩემპიონთა თასზე ერთმანეთს ხვდებოდნენ იტალიის „იუვენტუსი“ და ინგლისის „ლივერპული“, „ეიზელის“ სტადიონზე 39 კაცი სიცოცხლეს გამოესალმა.

ხულიგნებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯათ, იტალიის საზოგადოებრიობას მიაჩნია, რომ ეს სასჯელი — 6 თვიდან 3 წლამდე — არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება ბოროტმოქმედების მასშტაბებს, რომელსაც ოთხი ათეული ადამიანი შეეწირა, მაგრამ ირკვევა, რომ მსჯავრდებულებს საშუალება აქვთ ეს სასჯელიც აიცილონ თავიდან. ბრიუსელის სასამართლოში დაიწყო მსჯავრდებულთა განცხადებების განხილვა, ხულიგნებს იმედი აქვთ, რომ მათი თხოვნა გულმოწყალების შესახებ დადებით შედეგს გამოიღებს.

შესაბამისი სამედიცინო სამსახური, რომელსაც იტალიელი ექიმი მექელე დ“ოოგე უხელმძღვანელებს. იმუშავებს 1990 წლის ჩემპიონატზეც. დოპინგ-კონტროლი ჩატარდება ყოველი მატჩის შემდეგ. წინასწარი შეხვედრებისას გაისინჯება ორ-ორი ფეხბურთელი ყოველი გუნდიდან, ნახევარფინალური და ფინალური მატჩების შემდეგ კი — სამსამი.

წესრიგის დამცველთა თავყრილობა

მარტის ბოლო რიცხვებში რომში შედგება იმ 24 ქვეყნის წესრიგის დამცველთა შეხვედრა, რომელთა გუნდებიც იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობენ. ისინი განიხილავენ უშიშროების ზომების ერთიან პროგრამას.

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანტონიო გავამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას აცნობა, რომ პოლიციამ ზედამხედველობა დააწესა ორი ათასამდე ხულიგანზე, რომელთა უმრავლესობასაც აეკრძალება სტადიონზე შესვლა. გარდა ამისა, მინისტრმა აღნიშნა, რომ ჩემპიონატის მომსახურე პოლიციელთა რიცხვი 10 ათასიდან 15 ათასამდე გაიზრდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ ცოტა ხნის წინ იტალიის ეროვნული ჩემპიონატის ზოგიერთი მატჩის მსვლელობისას ტრიბუნებზე გამოჩნდა ფაშისტური და რასისტული ლოზუნგები.

ორსაათიანი გაფიცვა

იტალიის პროფკავშირები მოწოდებით გამოვიდნენ ჩატარდეს ორსაათიანი ეროვნული გაფიცვა იმასთან დაკავშირებით, რომ სტადიონების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისას ირღვევა უსაფრთხოების ტექნიკა.

იტალიის შრომის კონფედერაციის გენერალური მდივნის ანტონიო პიცინატოს განცხადებით „საფეხბურთო“ მშენებლობებზე უკვე 18 ადამიანი დაიღუპა. ეს ფაქტი, მისი აზრით, მშენებლობის მიმდინარეობის დაუშვებლად სწრაფ ტემპებთანაა დაკავშირებული.

აფრიკის თასზე

ალჟირში მიმდინარეობს აფრიკის საფეხბურთო თასის გათამაშება, უკვე გამოვლინდა ნახევარფინალის ოთხი მონაწილე. ესენია: ალჟირის, სენეგალის, ზამბიისა და ნიგერიის გუნდები. ალჟირელები სენეგალელებს შეხვდებიან, ზამბიელები — ნიგერიელებს, [გამარჯვებულთა ფინალური მატჩი შედგება 16 მარტს.

საინტერესოა, რომ მეოთხედფინალში და ნახევარფინალში ვერ მოხვდნენ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები ეგვიპტისა და კამერუნის გუნდები.

ცნობილია, რომ კამერუნის ნაკრებს წვრთნის საბჭოთა სპეციალისტი ვ. ნეპომნიაშჩი. მან განაცხადა, რომ კამერუნელმა ფეხბურთელებმა თავიანთ საუკეთესო სპორტულ ფორმას უნდა მიაღწიონ ივნის-ივლისისათვის, ამიტომაც, ისინი ჯერჯერობით არ არიან სათანადოდ მომზადებული.

ევროპის ჩემპიონატის კალენდარი

ევროპის მორიგი საფეხბურთო ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, გაიმართება 1992 წელს. შექმნილია საკვალიფიკაციო ჯგუფები; მესამე შესარჩევ ჯგუფში გამოდიან სსრ კავშირის, უნგრეთის, იტალიის, კიპროსისა და ნორვეგიის გუნდები. ამ ქვეყნების საფეხბურთო ფედერაციათა წარმომადგენლები ამას წინათ შეიკრიბნენ რომში, სადაც დამტკიცდა შესარჩევი შეხვედრების კალენდარი.

სსრ კავშირის ნაკრები პირველ მატჩს წლეულს 12 სექტემბერს შინ ჩაატარებს ნორვეგიის გუნდთან, 3 ნოემბერს კი იტალიელებს შეხვდება მათს მინდორზე. დანარჩენი თამაშები გაიმართება 1991 წელს: 17 აპრილი — უნგრეთი-სსრ კავშირი; 29 მაისი — სსრ კავშირი-კიპროსი; 25 სექტემბერი— სსრ კავშირი-უნგრეთი; 12 ოქტომბერი — სსრ კავშირი-იტალია; 13 ნოემბერი — კიპროსი-სსრ კავშირი.

საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში

12 მარტს გაიშართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის II ტურის ბოლო მატჩი დნეპროპეტროვსკის „დნეპრსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის. თამაში მოიგეს დნეპროპეტროვსკელებმა — 1:0.

გათამაშებაში ლიდერობენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ და ოდესის „ჩერნომორეცი“, რომელთაც ქულათა (4-4) და გატანილი და მიღებული ბურთების ერთნაირი რაოდენობა აქვთ (4-1).

მესამე ტურის შეხვედრები გაიმართება 16 და 17 მარტს.

• • •

ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების 24 თებერვლის მატჩში, რომელიც ამერიკის ქალაქ სტენფორდში შედგა, სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მთელი მატჩი შეუცვლელად ჩაატარა თბილისის დინამოელმა ა. ცვეიბამ. თამაშს 61 ათასი მაყურებელი დაესწრო.



ტენისი - ჭიქიჩეკი

ინდიან უელზი (აშშ). აქ გამართული ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი მილიონი დოლარი) მოიგო შვედმა სტეფან ედბერგმა. მან ფინალში, რომელიც 3 საათსა და 25 წუთს გრძელდებოდა, ამერიკელი ანდრე აგასი დაამარცხა 6:4, 5:7, 7:6, 7:6.

ბოკა რეიტონი (აშშ). „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ჩოგბურთელ ქალთა ტურნირში გაიმარჯვა არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში აჯობა „ამომავალ ვარსკვლავს“ 13 წლის ამერიკელს ჯენიფერ კაპრიატს — 6:4, 7:5.

ინდიანაპოლისი (აშშ). სტუდენტ-მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე ამერიკელებმა კარლეტა გაიდრიმ, კელი რობერტსმა, ნიკოლ ეიტსმა და სენდი რიჩარდსმა ქალთა ესტაფეტაში 4X400 მ. მსოფლიო რეკორდზე უკეთესი დრო აჩვენა — 3,32,01. მაგრამ ეს შედეგი შესაძლოა არ დამტკიცდეს მიღწევად, ვინაიდან რიჩარდსი არ არის ამერიკელი. იგი წარმოშობით იამაიკელია და სწავლობს აშშ-ში (ტეხასის უნივერსიტეტში).

აღ-ჰაბლა (არაბეთის გაერთიანებული ემირატები). აქლემების ყოველწლიური, ტრადიციული დოღის საერთო საპრიზო ფონდი 2 მილიონ დოლარზე მეტს შეადგენს. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს არაბეთის სხვადასხვა ქვეყნის ათასამდე აქლემი.



სენა გამარჯვებით იწყებს

დაიწყო ყველაზე პრესტიჟული, „ფორმულა-1“ კლასის ავტომობილების 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. პირველ ეტაპს ამერიკის ქალაქმა ფენიქსმა უმასპინძლა.

272-კილომეტრიანი დისტანცია საშუალო სიჩქარით 145,78 კმ საათში გაიარა ბრაზილიელმა მრბოლმა, 1988 წლის მსოფლიო ჩემპიონმა აირტონ სენამ და ოცდამეერთე გამარჯვება იზეიმა. როგორც ეტყობა, ჩემპიონატისწინა სენსაციურ უთანხმოებას საერთაშორისო საავტომობილო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტთან ჟან მარი ბალესტრთან, მაინც და მაინც დიდი გავლენა არ მოუხდენია სენასა და „მაკლარენ-ჰონდას“ მზადების ხარისხზე.

ფენიქსის „გრან პრის“ გათამაშების ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო ახალგაზრდა ფრანგი მრბოლის ჟან ალესის მიერ მოპოვებული მეორე ადგილი. ეს პილოტი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან „ფორმულა-3“ კლასში ასპარეზობდა, ამჟამად „ტაირელ-ფორდის“ ღირსებას იცავს. 24 წლის სპორტსმენი ძალზე დიდხანს ლიდერობდა რბოლას და მხოლოდ დისტანციის ნახევარზე მეტის გავლის შემდეგ „დაუთმო“ პირველობა ბევრად უფრო გამოცდილ ბრაზილიელს.

ფინიშზე მესამე ბელგიელი ტიერი ბუტსენი იყო. („უილიამს-რენო“), მეოთხე — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“).

რაც შეეხება მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონს ალენ პროსტს, მისი დებიუტი „ფერარის“ გუნდში წარუმატებელი გამოდგა, თუმცა, თავად სპორტსმენს, ამაში ბრალი არ მიუძღვის. 22-ე წრის გავლისას, როდესაც იგი მეოთხე პოზიციაზე მიდიოდა, გაფუჭდა „ფერარის“ ძრავა და პროსტი იძულებული შეიქნა რბოლა მიეტოვებინა. იგივე ბედი ეწია „ფერარის“ გუნდის მეორე წევრს, ინგლისელ ნაიჯელ მენსელს, რომელიც იმავე მიზეზით გამოეთიშა რბოლას 53-ე წრეზე.

მაშ ასე, პირველი შედეგები: 1. აირტონ სენა — 9 ქულა; 2. ჟან ალესი — 6; 3. ტიერი ბუტსენი — 4; 4. ნელსონ პიკე — 3; 5. სტეფანო მოდენა (იტალია, „ბრებჰემ-ჯადი“) — 2; 6. სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია, „ტაირელ-ფორდი“) — 1.

კონსტრუქტორთა შორის ასეთი მდგომარეობაა: „მაკლარენ-ჰონდა“ — 9, „ტაირელ-ფორდი“ — 7; „უილიამს-რენო“ — 4, „ბენეტონ-ფორდი“ — 3, „ბრებჰემ-ჯადი“ — 2.

ზლაპრული პრემიები

მსოფლიო ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ტურნირი გაიმართება მიუნხენში ამა წლის 11-16 დეკემბერს. ეს იქნება „დიდი მუზარადის“ თასის პირველი გათამაშება, რომლის საპრიზო ფონდი ექვსი მილიონი დოლარით არის განსაზღვრული. პროფესიულ-ჩოგბურთელთა ასოციაციის გადაწყვეტილებით ტურნირის გამარჯვებული 2 მილიონ დოლარს მიიღებს, ფინალში დამარცხებული კი მილიონს.

თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ავსტრალიის, საფრანგეთისა და აშშ-ის ღია ჩემპიონატებში, აგრეთვე უიმბლდონის ტურნირის გამორჩეული ჩოგბურთელები. თანაც საინტერესოა, რომ ტურნირის სტარტზევე დამარცხებული მონაწილე პრიზის სახით 100 ათას დოლარს მიიღებს.

ამ წმინდა კომერციული ტურნირის ორგანიზაციას ბევრი წამყვანი ჩოგბურთელი კრიტიკულად აფასებს, მაგრამ არც ერთი უარს არ ამბობს მასში მონაწილეობაზე.

„სპორტპროგნოზი“, მე-12 ტირაჟის პროგრამა (24-25 მარტი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
		პროგნოზი		
1. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	24.III	20	70	10
2. „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (მოსკოვი)	24.III	10	70	20
3. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „პამირი“ (დუშანბე)	24.III	70	20	10
4. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — ცსკა	24.III	30	50	20
5. „შახტიორი“ (დონეცკი) — „არარატი“ (ერევანი)	24.III	40	50	10
6. „უალგირისი“ (ვილნიუსი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	25.III	40	50	10
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში				
7. „კრემონეზე“ (კრემონა) — „ასკოლი“ (ასკოლი)	25.III	40	50	10
8. „ნაპოლი“ (ნეაპოლი) — „იუვენტუსი“ (ტურინი)	25.III	60	30	10
9. „ვენუა“ (ვენუა) — „ლაციო“ (რომი)	25.III	40	50	10
10. „ბოლონია“ (ბოლონია) — „სამპდორია“ (გენუა)	25.III	20	40	40
ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში				
11. „ბარსელონა“ (ბარსელონა) — „ატლეტიკო“ (მადრიდი)	25.III	40	50	10
12. „ვალიადოლიდი“ (ვალიადოლიდი) — „სევილია“ (სევილია)	25.III	10	50	40
13. „სარაგოსა“ (სარაგოსა) — „ატლეტიკი“ (ბილბაო)	25.III	40	30	30

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55, სამდივანი — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58, „ფერხული“ — 98-97-26, „ბარდავ“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 64465

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380000, თბილისი, ლენინის ქ. 14, ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე: ხიშარიულის, 39.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 ფე 03748